საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2019 წლის 13 მარტი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №207/18
მოსამართლე … მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

… (მხარე) 2018 წლის 31 ივლისის №... საჩივრის საფუძველზე ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე … მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

1.საჩივრის(საჩივრების) ავტორის მიერ მითითებული გარემოებები

საჩივრის ავტორის განცხადებით, მასსა და მის დედამთილს შორის წლების განმავლობაში მიმდინარეობდა სამოქალაქო სამართლებრივი დავა გამოყოფილი ფართით სარგებლობის და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. საჩივრის ავტორის მტკიცებით, საქმეზე მიღებული 2010 წლის 06 მაისის საბოლოო გადაწყვეტილება ეფუძნება ყალბ მტკიცებულებებს და შესაბამისად, საქმე უნდა იქნას თავიდან განხილული.

… ითხოვს, გამოთხოვილ იქნას … რაიონის … სამმართველოს პოლიციის მიერ მოპოვებული ყველა საჭირო მტკიცებულება და მათ საფუძველზე დროულად იქნას მიღებული ახალი გადაწყვეტილება.

2. საჩივრის (საჩივრების) საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები

2.1. სადავო საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2010 წლის 06 მაისს, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის, … სარჩელი.

2.2. --- --- 2018 წლის 29 მაისის №… საჩივრის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე … მიმართ დაიწყო

დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

… 2018 წლის 31 ივლისის №... საჩივარი და 2018 წლის 29 მაისის №… საჩივარი იდენტურია (შეიცავს იმავე საფუძველს და ეხება იმავე მოსამართლეს).

… 2018 წლის 29 მაისის №… საჩივრის საფუძველზე, დისციპლინურ საქმეზე №148/18, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2018 წლის … ოქტომბერს მიიღო გადაწყვეტილება მოსამართლე … მიმართ დისციპლინური სამართლაწარმოების შეწყვეტის თაობაზე.

3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{7} მუხლის თანახმად, „დაუშვებელია ერთი და იმავე მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების განმეორებით დაწყება იმავე საფუძვლით, რომლითაც უკვე განხორციელდა დისციპლინური სამართალწარმოება.“

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებას შესაბამისი ორგანო ან თანამდებობის პირი იღებს, თუ „არსებობს დისციპლინური სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანოს მიერ იმავე მოსამართლის მიმართ, იმავე საფუძვლით გამოტანილი გადაწყვეტილება.“

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{7}-ე მუხლით და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №207/18, მოსამართლე … მიმართ, შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი